ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 331

"18" ოქტომბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი II კვარტლის №9ა და №9ბ კორპუსებს შორის მდებარე 1171 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.022.003) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ კომპანიასთან შპს „არქიინვესტი" (ს/კ 404954046) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №421 განკარგულების დანართით განსაზღვრული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127[2] მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 18 სექტემბრის №19.996.1249 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი II კვარტალის №9ა და №9ბ კორპუსებს შორის მდებარე 1171 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.022.003) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ კომპანიასთან შპს „არქიინვესტთან" (ს/კ 404954046) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 18 ოქტომბრის N39.13.755 განკარგულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №421 განკარგულების დანართით განსაზღვრული ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობა „№01.15.02.038.049 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და აღნიშნული ტერიტორიის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა, შესაბამისი დემონტაჟის ნებართვის გაცემიდან ერთი თვის ვადაში".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე